ონლაინ დასაქმების ზრდის ტენდენციის გავლენა ადამიანური რესურსების ნაკლებობაზე ადგილობრივ შრომის ბაზარზე

დალინა მექუდიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, განათლებისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტზე მაგისტრის ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: მენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ანნა თანდილაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

განაცხადი

“როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად. „

დალინა მექუდიშვილი

15.06.2023

აბსტრაქტი

ნაშრომში შეფასებულია ონლაინ დასაქმების ზრდის ტენდენციის გავლენა ადამიანური რესურსების ნაკლებობაზე ადგილობრივ შრომის ბაზარზე. ადამიანური რესურსების მოზიდვა, მათ მოთხოვნებზე სწორი რეაგირება და სიახლეების დანერგვა, ესაა ის მთავარი გამოწვევები, რის წინაშეც დადგა მსოფლიო ბოლო წლების განმავლობაში. აღნიშნული ფაქტი, უკავშირდება ბოლო პერიოდში განვითარებულ მოვლენებს, როგორიცაა ციფრული დასაქმების ზრდა, დიჯიტალიზაციისა და ავტომატიზაციის მუდმივი პროცესები. კვლევის მიზანს წარმოადგენდა ონლაინ დასაქმების ზრდის ტენდენციის გავლენის შესწავლა და ადგილობრივ შრომის ბაზარზე არსებული დამსაქმებელი ორგანიზაციებისთვის შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა. საკვლევი საკითხები მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან კომპონენტებს, როგორიცაა შრომის ბაზრის ცვლილება, ონლაინ დასაქმების სპეციფიკა, საქართველოში არსებული სამუშაო ძალის მახასიათებლების გამოვლენა, ონლაინ დასაქმების ზრდა ადგილობრივ შრომის ბაზარზე და მისი გავლენა ადამიანური რესურსების ნაკლებობაზე.

ჰიპოთეზის შესამოწმებლად ჩატარდა რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევა. არაალბათური და მიზნობრივი შერჩევის მეთოდით განისაზღვრა სამიზნე აუდიტორია, რომელსაც წარმოადგენდნენ ონლაინ და ოფისში დასაქმებული ადამიანები, ასევე ონლაინ, ჰიბრიდული და სტანდარტული დასაქმების სისტემის მქონე კომპანიების მენეჯერები და ეიჩარები.

კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, დადასტურდა ჰიპოთეზა, რომლის მიხედვითაც დადგინდა, რომ საქართველოს შრომის ბაზარზე სპეციფიკურ სფეროებში ადამიანური რესურსების ნაკლებობას სხვადასხვა ფაქტორები, მათ შორის უმთავრესად ონლაინ დასაქმების ზრდის ტენდენციის გავლენა იწვევს. კველავში მონაწილე მხარეებმა ხაზი გაუსვეს ონლაინ დასაქმების როგორც დადებით, ასევე უარყოფით მხარეებს, აღიარეს ტენდენციის ზრდა და აღნიშნული დასაქმების სისტემის მიმართ დიდი

ინტერესი გამოხატეს. ასევე კვლევისას გამოიკვეთა, ის ძირითადი დასაქმების მიმართულებები, რომლებზეც ყველაზე მეტად აისახა ციფრული დასაქმების ზრდა. აღნიშნული პროცესი დღითი დღე იზრდება, რაც ადგილობრივ შრომის ბაზარზე ადამიანური რესურსების სიმცირის საკითხს კიდევ უფრო მწვავედ აყენებს.

კვლევიდან მიღებული პასუხებიდან და შრომის ძალის არსებული მახასიათებლებიდან გამომდინარე, ადგილობრივ შრომის ბაზარზე მოქმედ კომპანიებს განესაზღვრათ შესაბამისი რეკომენდაციები, ციფრული დასაქმების ზრდასა და არსებულ გამოწვევებთან დაკავშირებით.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ადამიანური რესურსების მართვა, ციფრული დასაქმება, ფრილენსერი, დიჯიტალიზაცია, ავტომატიზაცია, შრომის ბაზარი, სამუშაო ძალა.

Abstract

The paper evaluates the impact of the growing trend of online employment on the lack of human resources in the local labor market. Attracting human resources, correctly responding to their demands and introducing innovations, these are the main challenges that the world has faced in recent years. The mentioned fact is related to the events taking place in recent years, such as, the growth of digital employment, the constant processes of digitization and automation. The purpose of the research was to study the impact of the growth trend of online employment and to make appropriate recommendations for the employing organizations in the local labor market. Research issues include many important components, such as, changes in the labor market, the specifics of online employment, identifying the characteristics of the workforce in Georgia, the growth of online employment in the local labor market and its impact on the lack of human resources.

Quantitative and qualitative research was conducted, to check the hypothesis. A non-probability and targeted selection method was used to determine the target audience, which was represented by online and office employees, as well as managers and employees of companies with online, hybrid and traditional employment systems.

Based on the results of the research, the hypothesis was confirmed, according to which, it was determined, that the lack of human resources in specific fields in the labor market of Georgia is caused by various factors, including mainly the influence of online employment growth trends. The participants of this research emphasized both the positive and negative aspects of online employment. They recognized the growth of the trend and expressed great interest in the mentioned employment system. The research also identified the main employment areas that were most affected by the growth of digital employment, and this process is increasing day by day, which makes the issue of shortage of human resources in the local labor market even more acute.

Based on the answers received from the research and the existing characteristics of the labor force, relevant recommendations were determined for the companies operating in the local labor market, regarding the growth of digital employment and the existing challenges.

Key words: human resources management, digital employment, freelancer, digitization, automation, labor market, workforce.